ხელშეკრულება N2512/03

გამარტივებული შესყიდვა, მონეტარული ზღვრების დაცვით

საქართველოს კანონი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს1 ქვეპუნქტის შესაბამისად.

CPV 72400000

ქ. თბილისი 25 დეკემბერი 2020 წ.

ერთის მხრივ, შპს "მაგთიკომი", შემდგომში წოდებული როგორც – ოპერატორი, წარმოდგენილი მთავარი კომერციული ოფიცრის მოადგილის ნუგზარ ქავთარაძის მიერ, რომელიც მოქმედებს 2020 წლის 24 თებერვლის მინდობილობის (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N 200197281, ინდ. N 85846628754120) საფუძველზე და მეორეს მხრივ, შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა -შემდგომში წოდებული როგორც – აბონენტი, წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსი ზანდარაშვილის სახით, მეორეს მხრივ, ერთად წოდებული - „მხარეები" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგი პირობებით:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ოპერატორი გაუწევს აბონენტს მონაცემთა გადაცემის **(GPRS VPN) მომსახურებას** (შემდგომში - მომსახურება) სააბონენტო ნომრებზე (შემდგომში „კორპორატიული ნომრები", რომელიც მოწოდებულ იქნება აბონენტის მიერ წერილობითი ფორმით), მომსახურების მიწოდების სტანდარტული პირობების (შემდგომში - "სტანდარტული პირობები"), რომელიც განთავსებულია ოპერატორის ვებ-გვერდზე: www.magticom.ge), „მობილური სატელეფონო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების" (შემდგომში - „მომსახურების ხელშეკრულება"), წინამდებარე ხელშეკრულების და მისი დანართ(ებ)ის პირობების შესაბამისად.

1.2 აბონენტი გადაიხდის მომსახურების საფასურს ამ ხელშეკრულების დებულებათა შესაბამისად.

1.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება (კორპორატიულ ქსელში ჩართვა) განხორციელდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნული ვადის ათვლა დაიწყება აბონენტის მხრიდან „კორპორატიული ნომრების" ჩამონათვალის ოპერატორისათვის მიწოდების დღიდან.

1.4 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1 700 (ერთი ათას შვიდასი) ლარს** დღგ-ს ჩათვლით;

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1 აბონენტი უფლებამოსილია ოპერატორისთვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით დაამატოს „კორპორატიული ნომერი" ან კონკრეტულ „კორპორატიულ ნომერზე" შეაჩეროს, შეწყვიტოს ან შეცვალოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მოქმედება.

2.2 აბონენტი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს კორპორატიულ ნომრებზე ლიმიტები, რომლის ამოწურვის შემთხვევაში იზღუდება მომსახურების მიწოდება.

2.3 აბონენტი ვალდებულია შეასრულოს სტანდარტული პირობებით, მომსახურების ხელშეკრულებით, ამ ხელშეკრულებით და მხარეთა შორის სხვა შეთანხმებებით განსაზღვრული ვალდებულებები.

2.4 აბონენტი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესების დაცვით. აბონენტი ვალდებულია მიღებული მომსახურების საფასური (სააბონენტო, დამატებითი მომსახურება, 112-ს საფასური, სხვა სახის მომსახურება) გადაუხადოს ოპერატორს არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე, ამ ხელშეკრულების დანართით(ებით) გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად. აბონენტისათვის გაწეული მომსახურების, მათ შორის, დამატებით მომსახურებების მოცულობისა და ოდენობის განსაზღვრა და დაანგარიშება ხორციელდება ოპერატორის საბილინგო სისტემის მონაცემებზე დაყრდნობით ან/და როუმინგის შემთხვევაში, სხვა ოპერატორების (როუმინგ პარტნიორების) საბილინგო სისტემის მონაცემებით.

2.5 აბონენტი ვალდებულია შეატყობინოს ოპერატორს, წერილობითი სახით, მისი გადახდისუუნარობის, რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საქმის წარმოების დაწყების ან იმ გარემოების შესახებ, რომლემაც შესაძლოა შეაფერხოს ან საფთხის ქვეშ დააყენოს ან შეუძლებელი გახადოს აბონენტის მხრიდან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

2.6 ოპერატორს უფლება აქვს, დააწესოს ფასდაკლებები მომსახურებაზე და საჯარო განცხადების სახით, გააკეთოს სპეციალური შეთავაზებები/აქციები, შეცვალოს მომსახურების პირობები მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით. ფასდაკლებები ან სპეციალური შეთავაზებები/აქციები შესაძლებელია იყოს, როგორც მუდმივად მოქმედი, ასევე დროებითი. ასევე შესაძლებელია ფასდაკლებებით ან სპეციალური შეთავაზებებით/აქციებით სარგებლობის პირობები შეზღუდული იყოს აბონენტისათვის. აღნიშნული ინფორმაციის მიღების მიზნით აბონენტი უნდა დაუკავშირდეს ოპერატორის წარმომადგენელს.

2.7 მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ შეატყობინონ ერთმანეთს ინფორმაცია მისამართის, საფირმო სახელწოდების, სამართლებრივი ფორმის, საბანკო რეკვიზიტების საკონტაქტო ნომრების, საკონტაქტო პირების ან სხვა რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში, რომელიც მნიშვნელოვანია წინამდებარე ხელშეკრულების შეუფერხებელი შესრულებისათვის.

2.8 აბონენტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი მომსახურების მიღებისას მოქმედებს სტანდარტული ტარიფები (მოცემულია ვებ-გვერდზე www.magticom.ge) ან ოპერატორის მიერ საჯარო შეთავაზებით გათვალისწინებული პირობები. აბონენტი პასუხისმგებელია სააბონენტო მოწყობილობითა და სააბონენტო მოწყობილობაში მოთავსებული/მიერთებული სიმ-ბარათით შესრულებულ მოქმედებებზე და ვალდებულია მისი საშუალებით შეკვეთილი მომსახურებების საფასურის გადახდაზე.

2.9 მიუხედავად მომსახურების ხელშეკრულებაში აღნიშნულისა, ამ ხელშეკრულების ფარგლებში გადაცემული (ან მომავალში გადასაცემი) სიმ-ბარათ(ებ)ი და მასზე არსებული ნუმერაცია განკუთვნილია მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული

კონკრეტული GPRS VPN მომსახურების (რომელიც წარმოადგენს M2M[1]/IoT[2] მომსახურების სახეობას და რომლის განმარტება მოცემულია „ნუმერაციის რესურსის გაცემის, გამოყენებისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2012 წლის 21 თებერვლის №2 დადგენილებაში) მისაღებად. შესაბამისად, იგი არ უნდა იქნას გამოყენებული სხვა სახის მომსახურების მისაღებად. იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში რაიმე დროს ოპერატორისთვის ცნობილი გახდება, რომ სიმ-ბარათები გამოიყენება სხვა მომსახურებისათვის, ჩაითვლება ხელშეკრულების პირობების უხეშ დარღვევად და ოპერატორი უფლებამოსილია სრულად ან ნაწილობრივ შეაჩეროს მომსახურების მიწოდება.

3. მომსახურების შეზღუდვის და შეწყვეტის პირობები

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის მომენტიდან წყდება მომსახურების მიწოდება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით. თუ მომსახურების მიწოდება არ შეწყდა ცალკეულ ნომრებზე იმოქმედებს მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული და ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული სტანდარტული ტარიფები[3].

3.2 აბონენტის მიერ წარმოშობილი დავალიანების წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ოპერატორი იტოვებს უფლებას დავალიანების მქონე კორპორატიულ ნომერს (ნომრებს) შეუზღუდოს მომსახურების მიწოდება და შეზღუდვის საფუძვლის 45 დღის განმავლობაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება მთლიანად ან დავალიანების მქონე კორპორატიულ ნომრებზე.

3.3 მომსახურების შეზღუდვა ავტომატურად იწვევს დამატებითი მომსახურების შეზღუდვას.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2022 წლის 31 იანვრის** ჩათვლით, ხოლო მომსახურების გაწევის ვადაა **2021 წლის 01 იანვრიდან - 2021 წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

4.2 კალენდარული თვის ნებისმიერ შუა რიცხვში წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლის შემთხვევაში აბონენტი უფლებამოსილია გააგრძელოს ხელშეკრულება საანგარიშო თვის ბოლომდე. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვადა იწურება თვის ბოლოს, მომსახურების მიწოდება შეწყდება თვის ბოლო სამუშაო დღეს.

4.3 ხელშეკრულების მოქმედება შესაძლებელია შეწყდეს:

- 4.3.1 მხარეთა შეთანხმებით;
- 4.3.2 ოპერატორის ინიციატივით, ცალმხრივად 2.5 პუნქტით გათვალისწინებული გარემოების დადგომისას, წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.
- 4.3.3 ოპერატორის ინიციატივით ცალმხრივად, იმ შემთხვევაში, თუ აბონენტის მიზეზით მომსახურება შეჩერდა ან შეწყდა კორპორატიული ნომრების საერთო ოდენობის 10 ან მეტი ოდენობის პროცენტულ ნაწილზე, წერილობითი შეტყობინებიდან 10 დღის შემდეგ.
- 4.3.4 ოპერატორის ინიციატივით, ცალმხრივად 3.2 პუნქტის შესაბამისად, წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;
- 4.3.5 ოპერატორის ინიციატივით, ცალმხრივად 2.9 პუნქტის შესაბამისად,აბონენტის მხრიდან დარღვევის არ აღმოფხვრის ან აბონენტის მოთხოვნით მომსახურების აღდგენიდან მისი ხელმეორედ დარღვევის შემთხვევაში.
- 4.3.6 კანონმდებლობით და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

4.4 ამ მუხლის 4.3.2,4.3.4 და 4.3.5 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, წინამდებარე ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება წერილობითი შეტყობინების მეორე მხარისთვის ჩაბარებიდან მომდევნო სამუშაო დღეს, თუ წერილობით შეტყობინებაში სხვა ვადა არ იქნება მითითებული.

4.5 მიუხედავად მომსახურების ხელშეკრულებაში აღნიშნულისა, წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა ავტომატურად იწვევს მომსახურების ხელშეკრულების შეწყვტას.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 აბონენტი აცნობიერებს, რომ მომსახურება უნდა მიიღოს პირადი მოხმარებისთვის და აკრძალულია მისი გამოყენება კომერციული მიზნებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტი მოახდენს მისთვის შეთავაზებული მომსახურების მიწოდებას ნებისმიერი ფორმით მესამე პირებისათვის სასყიდლით ან უსასყიდლოდ, ოპერატორი იტოვებს უფლებას მოსთხოვოს და აბონენტი ვალდებულია ერთი თვის ვადაში კომპენსაციის სახით, აუნაზღაუროს ოპერატორს, მიღებული მომსახურების, ფასდაკლების ასევე დამატებითი მომსახურების მიღების (ჩართვის) გადასახდელების ფასების სხვაობა ოპერატორის სტანდარტულ ტარიფებთან მიმართებაში. აღნიშნული თანხა გამოანგარიშდება წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღიდან მის შეწყვეტის თარიღამდე. ამასთან, ოპერატორი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.

5.2 იმ შემთხვევაში, თუ აბონენტის ინიციატივით მომსახურება შეჩერდა ან შეწყდა კორპორატიული ნომრების საერთო ოდენობის 50 ან მეტი ოდენობის პროცენტულ ნაწილზე, ჩაითვლება აბონენტის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტად. აღნიშნული მუხლი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ მომსახურების შეჩერება/შეწყვეტა გამოწვეულია აბონენტის თანამშრომელთა მასობრივი დათხოვნით, რაც აბონენტის მხრიდან უნდა იქნას დოკუმენტალურად დადასტურებული.

---

[1] M2M - არის მონაცემთა გადაცემა ან/და კავშირი მოწყობილობებს, პროგრამულ უზრუნველყოფაზე დაფუძნებულ აპლიკაციებს, ან მოწყობილობასა და აპლიკაციას შორის ავტომატურ რეჟიმში ან ადამიანის მინიმალური ჩარევით.

[2] IoT (საგანთა ინტერნეტი) - არის ინფრასტრუქტურა, რომელიც მაიდენტიფიცირებელი ელემენტებით აკავშირებს სხვა მოწყობილობებს ან/და სისტემებს და უზრუნველყოფს მათ შორის მონაცემთა გადაცემას ან/და კავშირს.

[3] სტანდარტული ტარიფების მოცემულია ოპერატორის ვებ-გვერდზე (www.magticom.ge).

5.3 ამ მუხლით და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის ჯარიმის/საურავის/ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზება ხორციელდება მხოლოდ ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ წინასწარი წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე და წარმოადგენს მხარის უფლებას და არა ვალდებულებას. ხოლო მათი გამოყენების შემთხვევაში ჯარიმის/საურავის/ზიანის ოდენობის დარიცხვა/გამოანგარიშება ხორციელდება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, მიუხედავად წერილობითი მოთხოვნის გაგზავნის თარიღისა.

5.4 5.2 პუნქტით და აგრეთვე სხვა შემთხვევებში, როდესაც წინამდებარე ხელშეკრულება წყდება ვადაზე ადრე აბონენტის ინიციატივით, ოპერატორი უფლებამოსილია ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო, მოსთხოვოს და აბონენტი ვალდებულია ერთი თვის ვადაში აუნაზღაუროს ოპერატორს საჯარიმო თანხა, რომელიც ტოლია წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში მთლიანად მიღებული მომსახურების საფასურის საფასურის საშუალო თვიური მაჩვენებლის 20%-ის.

5.5 ანგარიშსწორების ვადის დაგვიანების შემთხვევაში, ოპერატორი უფლებამოსილია დააკისროს აბონენტს ჯარიმა გადაუხდელი თანხის 20 პროცენტის ოდენობით.

6. კომუნიკაცია მხარეთა შორის

6.1 წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა შორის წერილობითი შეტყობინებების გაგზავნის და მიღების საერთო წესები მითითებულია 7.4 პუნქტში.

6.2 აბონენტის სურვილის შემთხვევაში, ოპერატორი უზრუნველყოფს ელექტრონული პორტალის(შემდგომში „კოპრორატიული პორტალი“) ფუნქციონირებას, რის თაობაზეც მხარეები დამატებით გააფორმებენ შეთანხმებას (დანართი #2).

6.3 კორპორატიულ პორტალზე აბონენტის მხრიდან მომხმარებლის რეგისტრაციის წესი, სარეგისტრაციო ფორმა, მომხმარებელთა კატეგორიები და კატეგორიის შესაბამისად მინიჭებული უფლებები განისაზღვრება დანართ #2-ში.

6.4 აბონენტის მიერ კორპორატიულ პორტალზე რეგისტრირებულ მომხმარებელს უფლება აქვს ელექტრონული ფორმით განახორციელოს ის ქმედებები, რაც განსაზღვრული იქნება ოპერატორის მიერ.

6.5 კორპორატიულ პორტალზე დანართ #2-ის წესების შესაბამისად აბონენტის მიერ რეგისტრირებული მომხმარებლის მხრიდან მიღებული ელექტრონული ფორმის მოთხოვნა, ამ მომხმარებლისათვის მინიჭებული უფლებების ფარგლებში, მიიჩნევა აბონენტის ნების გამოვლენად და ამ სახით მიღებული მოთხოვნის შესაბამისად ოპერატორის მიერ განხორციელდება შესაბამისი რეაგირება.

7. ზოგადი დებულებები

7.1 წინამდებარე ხელშეკრულება სრულად ადასტურებს ორივე მხარის კონსენსუსს. არანაირი ზეპირი ცვლილება და დამატება არ განიხილება, როგორც ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი.

7.2 თითოეული მხარე ვალდებულია შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების პირობები ორმხრივი კეთილი ნებისა და კეთილსინდისიერების პრინციპების შესაბამისად.

7.3 სტანდარტულ პირობებს, მომსახურების ხელშეკრულებას ან სხვა გარიგებებს და წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს შორის წინააღმდეგობების არსებობის შემთხვევაში უპირატესი ძალა ენიჭება წინამდებარე ხელშეკრულებას.

7.4 წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის წერილობით შეტყობინებად მიიჩნევა მხარის მისამართზე გაგზავნილი წერილი. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით მხარეები თანხმდებიან, რომ წერილობით შეტყობინებად ასევე მიჩნეულ იქნება მხარის მიერ მეორე მხარისათვის ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი შეტყობინება, იმ პირობით, რომ აუცილებლობის შემთხვევაში (ოპერატორის მოთხოვნის შემთხვევაში) შეტყობინების ორიგინალი შემდგომში წარედგინება ოპერატორს. მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ აბონენტი უფლებამოსილია წინასწარ მიანიჭოს მინდობილობა საკუთარ წარმომადგენელს, რომელიც აღჭურვილი იქნება უფლებამოსილებით წარმოადგინოს აბონენტი ოპერატორთან ურთიერთობაში და მიმართოს ოპერატორს როგორც წერილობით, ასევე ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის საშუალებით, მოითხოვოს ხელშეკრულების პირობების ცვლილება (ლიმიტების შეცვლა, „კორპორატიული ნომრების დამატება/შემცირება, მომსახურების ჩართვა/გამორთვა და ა.შ.), დაზუსტება, ნებისმიერი სახის ინფორმაცია (მათ შორის, ინფორმაცია შემავალი და გამავალი ზარების თაობაზე). მხარეთა მიერ 2.7 პუნქტის შესაბამისად რეკვიზიტების ცვლილების შეუტყობინებლობის შემთხვევაში, ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის ბოლოს ცნობილ მისამართზე, ელექტრონულ ფოსტაზე, ფაქსის ნომერზე გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება მიღებულად. ამ შემთხვევაში შეტყობინება მიღებულად ითვლება გაგზავნის მეორე სამუშაო დღეს. აბონენტის წარმომადგენლისთვის (მინდობილი პირისთვის) მინდობილობის გაუქმების შესახებ ოპერატორისათვის შეტყობინებამდე, ასეთი წარმომადგენლისაგან მიღებული წერილი/შეტყობინება ჩაითვლება აბონენტისაგან მიღებულად.

7.5 ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მიწოდებულ იქნა ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის ან ცნობილი გახდა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე, გაფომებისას ან მის შემდგომ, მიუხედავად იმისა ეს ინფორმაცია მიღებულ იქნა ზეპირი, წერილობითი ელექტრონული თუ სხვა საშუალების გამოყენებით და მიუხედავად იმისა წინასწარ იყო თუ არა გაფრთხილებული მხარე ამ ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ, ითვლება კონფიდენციალურად. ეს ინფორმაცია შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ იმ მიზნებისათვის, რისთვისაც იგი იქნა მიწოდებული. მხარეები მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომას იმისათვის, რომ არ დაუშვან მიღებული ინფორმაციის გახმაურება ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში და ასევე, მოქმედების მისი შეწყვეტიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში.

7.6 მხარეები ვალდებულნი არიან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულონ პირადად. აბონენტისათვის დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებებისა და ვალდებულებების გადაცემა მესამე პირთათვის, ოპერატორის მხრიდან წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. ოპერატორის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებებისა და ვალდებულებების მესამე პირთათვის გადაცემის შემთხვევაში აბონენტს წინასწარ ეცნობება 10 სამუშაო დღით ადრე.

7.7 წინამდებარე ხელშეკრულების პირობები სავალდებულოა შესასრულებლად, როგორც მხარეებისათვის, ისე მათი უფლებამონაცვლეებისათვის.
7.8 წინამდებარე ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. წინამდებარე ხელშეკრულება პირველ რიგში განიმარტება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.
7.9 მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების სარგებლობის დაყოვნება არ მოიაზრება ამ უფლების გამოყენებაზე უარის თქმად არ ართმევს მხარეს უფლებას მომავალში გამოიყენოს იგივე უფლება. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლებით სარგებლობის არ გამოყენება, ასევე არ ართმევს მხარეებს უფლებას მომავალში ისარგებლონ ამ უფლებით.
7.10 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა გავლენას არ ახდენს მისი მოქმედების პერიოდში მხარეთა შორის წარმოშობილ ფინანსურ ვალდებულებებზე.
7.11 წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისთვის სამუშაო დღეებია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, გარდა კანონმდებლობით დადგნილი უქმე დღეებისა.
7.12 წინამდებარე ხელშეკრულების მუხლების სათაურები მოცემულია მხოლოდ ხელშეკრულების შინაარსის აღქმის მოხერხებულობისათვის და არ მოახდენს გავლენას მისი მუხლების/პუნქტების განმარტებაზე.
7.13 წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა გადაწყდება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო შეთანხმების ვერ მიღწევის შემთხვევაში, ნებისმიერი დავა, განსახილველად და საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა სასამართლოს (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია წარმოადგენს დავის განმხილველ განსჯად სასამართლოს). ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ მიქცეულ იქნება აღსასრულებლად. ყოველგვარი გაუგებრობის გამოსარიცხად, მხარეები თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძლება მიქცეულ იქნას დაუყოვნებლივ აღსასრულებლად, თუ დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ზიანი და მისი ანაზღაურება.
7.14 სტანდარტული პირობები, მომსახურების ხელშეკრულება, წინამდებარე ხელშეკრულება და მისი დანართები (აგრეთვე დანართი, რომელიც შეიძლება მომავალში დაერთოს ხელშეკრულებას) წარმოადგენს ერთიან ხელშეკრულებას და მხარეთა საბოლოო შეთანხმებას ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით.
7.15 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი გადაეცათ მხარეებს.

8. მხარეთა რეკვიზიტები:

შპს „მაგთიკომი“
ქ. თბილისი პოლიტკოვსკაიას ქ N7
ფაქტობრივი მისამართი
ტელ 322110011
მობ.: 577208031

ს/კ: 204876606
მთავარი კომერციული ოფიცრის მოადგილე

/ ნუგზარ ქავთარაძე /

შპს „სახელმწიფო კვებითი უზრუნველყოფა“
ფაქტ. მის.: ქ. თბილისი, თემქა მე-9 კვარტალი, 21-ე
კორპუსის მიმდებარედ;
იურ. მის.: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ., №12;
322200122
591 00 42 18 / 596 577 577 / 591 03 24 25

ს/კ:404482537
დირექტორი

/ ალექსი ზანდარაშვილი /

LTD STATE CATERING SERVICE

დანართი #1

GPRS VPN მომსახურება

მბ-ების რაოდენობა	პაკეტის ღირებულება, ლარი დღგ-ს ჩათვლით
1 000 მბ.	5
3 000 მბ.	9
5 000 მბ.	12
20 000 მბ.	30
ულიმიტო	150

სააბონენტო ნომერი	პაკეტი
708024837	12 (ლარი)
595571960	30 (ლარი)
595571910	30 (ლარი)
595571830	30 (ლარი)
599864297	30 (ლარი)

- დაყოვნება < 400 მილიწამზე.

- GPRS პაკეტების შეძენა შესაძლებელია ორგანიზაციის მხრიდან მხოლოდ წერილობითი მოთხოვნის და ოპერატორის მიერ მოთხოვნილი პაკეტის გააქტიურების საფუძველზე, სხვა შემთხვევაში იმოქმედებს სტანდარტული ტარიფები (1მბ. 0.10 ლარი).
- თუ მიღებული მომსახურება გადააჭარბებს GPRS პაკეტებით განსაზღრულ მოცულობას, იმოქმედებს ოპერატორის მიერ დაწესებული სტანდარტული ტარიფი (1მბ. 0.10ლარი).
- GPRS პაკეტების თვის ნებისმიერ პერიოდში ჩართული პაკეტის ამოწურვის ვადა განისაზღვრება კალენდარული თვის ბოლო დღით. დარიცხული საფასური გადაანგარიშდება მიღებული მომსახურების დღეების პროპორციულად. კალენდარული თვის ბოლო დღეს პაკეტით გათვალისწინებული ერთეულები უქმდება.
- თვის ნებისმიერ პერიოდში GPRS პაკეტების დამატებით შეძენილი პაკეტის ღირებულება კორპორატიულ ნომერს ჩამოეჭრება სრულად.
- კალენდარული თვის ნებისმიერ რიცხვში წინამდებარე ხელშეკრულების ან მისი ნაწილის შეწყვეტის შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს აღნიშნულ თვეში მომსახურებით გათვალისწინებული თანხა სრულად.
- ანგარიშსწორება მომსახურებაზე ხორციელდება აბონენტის მიერ შემდგომი გადახდის პირობით.
- იმ შემთხვევაში, თუ მომსახურება აბონენტის მიერ გამოყენებული იქნება პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის, აბონენტი იღებს ვალდებულებას, რომ მართლზომიერად ექნება მოპოვებული, როგორც ადრესატის საკონტაქტო ინფორმაცია, აგრეთვე თანხმობა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის შეტყობინების მიღებაზე. ამასთან, პირდაპირი მარკეტინგის ადრესატებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა უარი განაცხადონ ასეთი შეტყობინების შემდგომ მიღებაზე იმავე ფორმით, რა ფორმითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი. აბონენტი ამავე დროს ვალდებულია დაიცვას „პერსონალურ მონაცემთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები და მოთხოვნები.
- აბონენტი ვალდებულია შეწყვიტოს პირდაპირი მარკეტინგის მიზნით შეტყობინების გაგზავნა იმ ადრესატებთან, ვინც უარს განაცხადებს ასეთი სახის შეტყობინებების მიღებაზე.

დამატებითი მომსახურებების ტარიფები

მომსახურება	ღირებულება
ახალი ნომრის დამატება	უფასო
ნომრის შეცვლა	უფასო
მფლობელის შეცვლა	უფასო
სიმ-ბარათის გამოცვლა	უფასო
დეტალური ანგარიში	უფასო

იმ დამატებითი მომსახურების სახეების ჩართვა, რომელიც არ არის მითითებული ზემოაღნიშნულ ცხრილში ასევე ხორციელდება კორპორატიული ტარიფის ფარგლებში დამატებითი საფასურის გარეშე, ხოლო მომსახურების საფასური მოცემულია ოპერატორის ვებ-გვერდზე: www.magticom.ge.

საკონტაქტო ინფორმაცია		
საკონტაქტო პირი	ბექა წიკლაური	
საკონტაქტო ინფორმაცია	E-mail:	btsiklauri@scs.gov.ge
	Mob:	591 00 42 18
	Tel:	2 200 122
დირექტორი	ალექსი ზანდარაშვილი	
	Mob:	596 577 577

III ჯგუფებში არსებულ ნომრებს გააჩნია პირადი და კორპორატიული ანგარიში	
I ჯგუფი (ულიმიტო)	III ჯგუფი (ლიმიტი 0)
ანგარიშსწორება მომსახურებაზე ხორციელდება სრულად შემსყიდველის მიერ შემდგომი გადახდის პირობით.	ანგარიშსწორება მომსახურებაზე ხორციელდება მხარეთა მიერ შეთანხმებული განსაზღვრული თანხის ფარგლებში მომხმარებლის მიერ შემდგომი გადახდის პირობით. მხარეთა მიერ შეთანხმებულ თანხაზე მეტი მომსახურების მიღებისათვის ანგარიშსწორება ხორციელდება მოსარგებლე ფიზიკური პირის მიერ წინასწარი გადახდის პირობით.

- 112-ის მომსახურების საფასურის ანგარიშსწორება ხორციელდება აბონენტის მიერ.
- იმ შემთხვევაში, თუ აბონენტის მხრიდან სააბონენტოს გადახდის შემდომ, რომელიმე ნომერს ერიცხება დავალიანება მომსახურების მიწოდება შეიზღუდება ყველა კორპორატიულ ნომერზე.
- სააბონენტო გადასახდელის დარიცხვა ხორციელდება ყოველი თვის 1 რიცხვიდან. კალენდარული თვის ნებისმიერ რიცხვში წინამდებარე ხელშეკრულების ან მისი ნაწილის შეწყვეტის შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს აღნიშნულ თვეში სააბონენტო გადასახდელით გათვალისწინებული თანხა სრულად.
- თუ ლიმიტის ან საავანსო თანხის (დეპოზიტის) ამოწურვის შემთხვევაში, არ შეიზღუდა მომსახურების მიწოდება, აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს გაწეული მომსახურების საფასური.
- ნებისმიერი სხვა სახის მომსახურებით/დამატებითი მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში, რომლის ტარიფი და პირობები არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით, იმოქმედებს სტანდარტული ტარიფები და პირობები, რომელიც მოცემულია ოპერატორის ვებ-გვერდზე: www.magticom.ge.

Digitally signed by MagtiCom LLC
2020.12.25 14:31:35 +0400